დოქტორანტთა სამეცნიერო ნაშრომების კონკურსი პროფესორ ნოდარ ხადურის სახელობის პრემიაზე

კონკურსის პირობები და მასალების წარმოდგენის ვადები:

• კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს სხვადასხვა უნივერსტეტების დოქტორანტებს;

• ნაშრომი ფორმდება სტატიის სახით (არაუმეტეს 3000 სიტყვისა, ფონტი Sylfaen, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს - 2.5 სმ., ზედა და ქვედა - 2 სმ., გვერდები უნდა დაინომროს ქვედა მარჯვენა მხარეს, სატიტულო ფურცელზე მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი და ელფოსტა, ნაშრომს უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 600-700 სიტყვა (ნაშრომის მთავარი შინაარსის ასახვით), საკვანძო სიტყვები 3-5, აკრეფილი Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 10).

• წარდგენის ბოლო ვადა - 2020 წლის 01 ივლისამდე.

• საკონკურო კომისია წარმოდგენილი ნაშრომებიდან შეარჩევს საუკეთესოს, რომლის ავტორიც დაჯილდოვდება 5 000 ლარის ოდენობის ფულადი პრემიით. ამავე დროს ავტორს მიეცემა საშუალება წარსდგეს მოხსენებით III ეროვნული კონფერენციის პლენალურ სესიაზე, ხოლო მოხსენების ტექსტი გაფორმებული სტატიის სახით, შესაბამისი ორმაგი ფარული რეცენზირების სტანდარტული პროცედურების გავლით და დადებითი შეფასების შემთხვევაში, დაიბეჭდება ჟურნალის „გლობალიზაცია და ბიზნესი“ უახლოეს მე-10 ნომერში.

• სტატია უნდა გაიგზავნოს საკონკურსო კომისიის მდივნის, ასოცირებული პროფესორის, ქ-ნ მანანა ლობჟანიძის ელექტრონულ მისამართზე: manana.lobzhanidze@tsu.ge.

საკონკურსო ნაშრომების შეფასების კომისიის შემადგენლობა:

- აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია) - თავმჯდომარე;
- პროფესორი გიორგი ღაღანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი) - თანათავმჯდომარე;
- აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონიმიკის კათედრის ხელმძღვანელი);
- პროფესორი რამაზ აბესაძე (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);
- პროფესორი იური ანანიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი);
- პროფესორი სიმონ გელაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი);
- პროფესორი რევაზ გველესიანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი);
- პროფესორი მირიან ტუხაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი);
- პროფესორი ეთერი ხარაიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი);
- პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ჟურნალის „გლობალიზაცია და ბიზნესი“ რედაქტორი);
- ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრა);
- მიხეილ ჭკუასელი (ბიზნესმენი);
- ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრა) - კომისიის მდივანი.